სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი

26 დეკემბერი 2018 წელი

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 18 იანვრის N 5 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N 2

სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ხვედელიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

ია ძებისაური – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი;

ნიკო გიგოლაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი;

ირინე სადრაძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შესყიდვების სპეციალისტი;

ზურაბი ზეცურიანი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შესყიდვების მენეჯერი;

ირმა ოქროპირიძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურის იურისტი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:

ნატალია ედიშერაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს, მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის მენეჯერი;

ნინო გორდეზიანი - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიზნობრივი პროგრამების სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ქვეპროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" ფარგლებში დასაქმებული უცხოელი მოხალისე მასწავლებლების ჯანმრთელობის დაზღვევის (66512200 - ჯანმრთელობის დაზღვევა) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (სატენდერო განცხადების ნომერი № **NAT180020871**) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადების განხილვა.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა, ირინე სადრაძემ კომისიას მოახსენა, რომ პრეტენდენტმა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის „კითხვა-პასუხი"-ს მოდულის მეშვეობით დასვა 2 (ორი) შეკითხვა, რომელიც შეეხება სატენდერო დოკუმენტაციაში არსებულ 7 წლიანი ანალოგიური მომსახურების გამოცდილებას. პრეტენდენტმა განმარტა, რომ ასეთი ჩანაწერი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის 2017 წლის 28 დეკემბრის რეკომენდაციას. პრეტენდენტმა ელექტრონულ ფოსტაზე irinasadradze@gmail.com გამოაგზავნა საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის 2017 წლის 28 დეკემბრის რეკომენდაცია, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის დროს შემსყიდველმა მხრიდან ტენდერის პირობად სადაზღვევო სფეროში გამოცდილების არსებობის დადგენა დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს კანონმდებლობის მოთხოვნებიდან".

განიხილეს:

სატენდერო კომისია მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელეს 1.2 და 2.2.1 პუნქტების და მიმაგრებული შესაბამისი დოკუმენტის კორექტირება.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N-12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის პირველილ პუნქტის შესაბამისად, სატენდერო კომისიას უფლება აქვს, შეცვალოს სატენდერო პირობები ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია" მინიჭებამდე.

დაადგინეს:

1. ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N-12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 და 2.2.1 პუნქტების, ასევე მიმაგრებული დოკუმენტების კორექტირება;

2. სატენდერო კომისიის აპარატმა „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N-12 გრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოს წინამდებარე ოქმისა და პრეტენდენტისთვის გასაგზავნი წერილის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: დავით ხვედელიძე -

სატენდერო კომისიის წევრები: ია ძებისაური -

ნიკო გიგოლაშვილი -

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ირინე სადრაძე -

ირმა ოქროპირიძე -

ზურაბი ხეცურიანი -

Gmail

irina sadradze <irinasadradze@gmail.com>

დაზღვევის ტენდერთან დაკავშირებით

1 წერილი

Inga <arakhamia@igg.ge>
ვის: irinasadradze@gmail.com

25 დეკემბერი, 2018, 18:36

მოგესალმებით,

გიგზავნით, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის 2017 წლის 28 დეკემბერს გაცემულ რეკომენდაცია საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიმართ, სადაზღვევო კომპანიებისათვის სახელმწიფო შესყიდვების დროს გამოცდილების დაწესების მიზანშეუწონლობისა და კანონთან შეუსაბამობის თაობაზე.

პატივისცემით

Inga Arakhamia

Head of Legal Department

INSURANCE GROUP OF GEORGIA

22, Panjikidze str., 0160, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 244 111

M +995 555 68 99 86

დასკვნა დაზღვევებზე.**pdf**
1748K

საქართველოს ბიზნესომბუდსმენი

№ 02-322/12

28 დეკემბერი 2017

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს

ბატონ ლევან რაზმაძეს

სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარეს

ბატონ ნოდარ ხადურს

ასლი: სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატს განცხადებით მომართა რამდენიმე სადაზღვევო კომპანიამ ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის დროს შემსყიდველის მიერ ტენდერის პირობად სადაზღვევო სფეროში გამოცდილების არსებობის მითითების დისკრიმინაციული ხასიათისა და კონკურენციის კანონმდებლობასთან წინააღმდეგობის თაობაზე.

კომპანიები აღნიშნავენ, რომ სადაზღვევო კომპანიების საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა და გადახდისუნარიანობის მაჩვენებელი ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმებს წარმოადგენენ შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის ფინანსური სტაბილურობის შეფასებისთვის და აღნიშნული კრიტერიუმების პარალელურად შემსყიდველის მიერ მიმწოდებელი სადაზღვევო კომპანიისათვის დამატებით გამოცდილების არსებობის მოთხოვნა ეწინააღმდეგება კონკურენტუნარიანი ბაზრის პრინციპს.

მის.: საქართველო, 0114, ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7
ელ.ფოსტა: ask@businessombudsman.ge
ვებ-გვერდი: www.businessombudsman.ge

კომპანიები განმარტავენ, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიმწოდებელზე წაყენებული ტექნიკური და კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოთხოვნები ემსახურება მიმწოდებლების ტექნიკური ცოდნის/გამოცდილების, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების და სანდოობის შეფასების მიზანს.

ამასთან, კომპანიები მიუთითებენ, რომ, როგორც წესი, შესაბამისი ტექნიკური ცოდნის და გამოცდილების მატარებელს წარმოადგენს არა საწარმო, არამედ საწარმოში დასაქმებული შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე პერსონალი. შესაბამისად, კომპანიები თვლიან, რომ ტექნიკური ცოდნის შეფასებისთვის, საჭიროა მიმწოდებელს მოეთხოვოს ტექნიკური ცოდნის/გამოცდილების არსებობის დასაბუთება ტენდერით გათვალისწინებული პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან მიმართებაში.

კომპანიები ასევე მიუთითებენ, რომ ბაზრის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის ერთ-ერთი წინაპირობა ბაზარზე თავისუფალი შესვლის უზრუნველყოფაა. მიუხედავად სახელმწიფო ლიცენზირებისა, რაც სადაზღვევო ბაზარზე შესვლის ლეგალურ ბარიერს წარმოადგენს, შემსყიდველთა მხრიდან ხელოვნური ბარიერების შექმნა დამატებითი მოთხოვნების წაყენების გზით, ზღუდავს სადაზღვევო ბაზარზე კონკურენტულ გარემოს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ ჩვენს პოზიციას:

ლოგიკურია, რომ ნებისმიერ ორგანიზაციას/დაწესებულებას სურს თავისი თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით ხელშეკრულება გააფორმოს კეთილსინდისიერ, სანდო და საიმედო პარტნიორთან, რისთვისაც იგი თავად განსაზღვრავს სადაზღვევო კომპანიის შერჩევის კრიტერიუმებსა და პირობებს, თავისი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, თუმცა უდავოა, რომ ეს კრიტერიუმები და პირობები იმგვარად უნდა იქნეს შერჩეული, რომ **ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილება/პირობების შესრულება იმ მიზნის მიღწევის საშუალება უნდა იყოს, რისთვისაც ხდება მათი დადგენა. ამასთანავე, აღნიშნული კრიტერიუმები/პირობები არ უნდა წარმოადგენდეს ხელოვნურ და გაუმართლებელ ბარიერს პოტენციური პრეტენდენტებისთვის.**

ბიზნესომბუდსმენის აპარატისთვის ბუნდოვანი რჩება ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის დროს შემსყიდველთა მიერ ტენდერის პირობად სადაზღვევო სფეროში გამოცდილების არსებობის მითითების მიზანი და დანიშნულება. როგორც სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭოს მიერ ამ ტიპის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები ცხადყოფს, შემსყიდველი ორგანიზაციები, როგორც წესი, ვერ ახერხებენ ასეთი კრიტერიუმის/პირობის დადგენის აუცილებლობის/საჭიროების დასაბუთებას, რაც თავის მხრივ ეჭვის ქვეშ აყენებს ამ კრიტერიუმის/პირობის დადგენის მართლზომიერებას.

იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო სფეროში გამოცდილების არსებობის მოთხოვნის მიზანი მზღვეველის ფინანსური სიმყარისა და გადახდისუნარიანობის შეფასებაა, შემსყიდველის მიერ ასეთი კრიტერიუმის/პირობის დადგენა **ცალსახად არამართლზომიერია.**

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მზღვეველის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის საფუძველია მისი კაპიტალის, სადაზღვევო რეზერვებისა და გადაზღვევის სისტემის არსებობა. ამასთანავე, მზღვეველი თავისი გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ვალდებულია დაიცვას ამ კანონით განსაზღვრული ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები, რომელთა თანაფარდობის მეთოდიკასა და ნორმატიულ მოცულობას ადგენს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. ამავე კანონის მიხედვით, სწორედ აღნიშნული სამსახურის ფუნქციაა სადაზღვევო ორგანიზაციების ქმედობაუნარიანობისა და გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა, რასაც სამსახური ახორციელებს, სადაზღვევო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ფარგლებში, კომპანიათა ლიცენზირებისას და მათი ოპერირების მთელი პერიოდის განმავლობაში.

ამასთან, საგულისხმოა, რომ სადაზღვევო საქმიანობა ლიცენზირებადი საქმიანობაა, რაც მისადმი განსხვავებული მიდგომის საჭიროებას განაპირობებს, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ლიცენზია არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე პირისათვის კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე მინიჭებული განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლება. შესაბამისად, ლიცენზიის გაცემით, სამსახური აფასებს რა კომპანიის შესაძლებლობას განახორციელოს სადაზღვევო საქმიანობა, თვლის რომ იგი აკმაყოფილებს ყველა პირობას და მას ანიჭებს ამ საქმიანობის განხორციელების უფლებას.

ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის დროს შემსყიდველის მიერ ტენდერის პირობად სადაზღვევო სფეროში გამოცდილების არსებობის მითითებით კი, შემსყიდველი ეჭვის ქვეშ აყენებს კომპანიის მიერ სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას და პრაქტიკულად აქარწყლებს სამსახურის მიერ მისთვის მინიჭებულ უფლებას განახორციელოს სადაზღვევო საქმიანობა, როდესაც მას არ აძლევს საშუალებას მონაწილეობა მიიღოს სადაზღვევო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში.

იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო სფეროში გამოცდილების არსებობის მოთხოვნის მიზანი სადაზღვევო მომსახურების ხარისხის შეფასება ან/და სადაზღვევო პერიოდში მაღალი ხარისხის მომსახურების მიღების სურვილია, **რაც სავსებით ლეგიტიმური მიზანია მომხმარებელთა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე,** შემსყიდველის მიერ ასეთი პირობის დადგენა მაინც გაუმართლებელია, ვინაიდან, სადაზღვევო სფეროში გამოცდილების არსებობა თავისთავად არ წარმოადგენს მომავალში ხარისხიანი სადაზღვევო მომსახურების მიღების გარანტიას და წინაპირობას. ანუ ამ კრიტერიუმის დაკმაყოფილება/პირობის შესრულება ვერ უზრუნველყოფს იმ მიზნის მიღწევას, რისთვისაც მოხდა მისი დადგენა.

შესაძლებელია კომპანიას 10 წლიანი გამოცდილება ჰქონდეს და ეს კომპანია ათივე წელი პრობლემური იყოს ან კომპანიამ 10 წელი დადებითი რეპუტაციის შექმნაზე იმუშაოს და მე-11 წლიდან შეცვალოს თავისი კორპორატიული პოლიტიკა მომხმარებელთა საუარესოდ. ამ დროს, შესაძლებელია კომპანია ახალი დაარსებული იყოს, თუმცა ისეთი მაღალი პასუხისმგებლობით, პროფესიონალიზმითა და ფინანსური რესურსებით დაიწყოს ოპერირება, რომ ბაზარზე უკვე არსებულ კომპანიებს მნიშვნელოვანი კონკურენცია გაუწიოს და ლოიალური მომხმარებელიც კი გაიჩინოს პირველივე წელს.

შესაბამისად, შემსყიდველის მიერ ასეთი კრიტერიუმის/პირობის დადგენა აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ იგი მიმართულია არა მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისკენ, არამედ სხვა მიზნის მისაღწევად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ სადაზღვევო კომპანიების ლიცენზირება წარმოადგენს მათი სადაზღვევო ბაზარზე შესვლის შესაძლებლობის უპირობო საფუძველს და ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის დროს შემსყიდველთა მხრიდან ტენდერის პირობად სადაზღვევო სფეროში გამოცდილების არსებობის დადგენა დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს კანონმდებლობის მოთხოვნებიდან.

ამდენად, „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თქვენდამი დაქვემდებარებული უწყებების მიერ სადაზღვევო კომპანიათა განცხადების/საჩივრის განხილვისას, მხედველობაში იქნეს მიღებული ზემოაღნიშნული გარემოებები და შეფასებები.

პატივისცემით,

ზურაბ ძნელაშვილი

ბიზნესომბუდსმენის მოვალეობის შემსრულებელი